2016 წლის სტატისტიკური ინფორმაცია

2016 წელს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, სათანადო ფორმის დაცვით მიღებულ იქნა 241 დისციპლინური საჩივარი. ამათგან, რიგი საჩივრების გაერთიანების შედეგად, დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობდა 211 საქმეზე. 2015 წლიდან 2016 წელს ნაშთის სახით გადმოსულ იქნა 277 საქმე, ანუ სულ 2016 წელს წარმოებულ იქნა 488 დისციპლინური საქმე, რომელთაგან:

- ✓ 209 საქმეზე შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება;
- ✓ 3 საქმეზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით;
- ✓ 25 საქმეზე მოსამართლეებს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტება, რის შემდეგაც 16 საქმეზე მოსამართლეთა მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა, 1 საქმეზე მოსამართლეს მიემართა კერძო სარეკომენდაციო ბარათით, ხოლო 8 საქმეზე მოსამართლეთა მიმართ მიმდინარეობს დისციპლინური დევნა;
- ✓ 1 საქმეზე მოსამართლე მიეცა დისციპლინურ პასუხისგებაში და საქმე განსახილველად გადაეცა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას;
- ✓ 1 საქმეზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული.

დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობს 257 საქმეზე.